პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 25 (10722) | ოთხშაბათი, 30 იანვარი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

უზრუნველვყოთ პირუტყვის წარმატებით გამოზამთრება

გასული წელი იყო სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე ჩვენი ხალხის შესანიშნავ გამარჯვებათა წელი.

შარშან საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი წარმატებები მოიპოვეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში.

ამას წინათ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კოლმეურნეებისადმი, მტსებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისადმი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისადმი, სპეციალისტებისა და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი. ამ ისტორიულ დოკუმენტს, რომელშიც შეჯამებულია შარშან შესრულებულ უდიდეს სამუშაოთა შედეგები და დასახულია ახალი, 1957 წლის ამოცანები, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა მთელი საბჭოთა ხალხი.

საკოლმეურნეო სოფელში ახალი შრომითი აღმავლობის მაჩვენებელია წითელწყაროელ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა პატრიოტული ინიციატივა მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად. ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს წითელწყაროელთა მოწოდებას და ახალ ვალდებულებებს კისრულობენ, რასაც მოწმობს „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული მასალები.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ დავრაზმოთ მასები პირუტყვის გამოზამთრების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვაში სხვა რესპუბლიკებთან ერთად გაკრიტიკებულია საქართველოს სს რესპუბლიკა ხორცის წარმოების საქმეში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისათვის. საჭიროა აქედან სათანადო დასკვნები გავაკეთოთ და უახლოეს ხანში ხორცის წარმოების დარგში მივაღწიოთ მკვეთრ გარღვევას.

ზამთარი ყოველთვის სერიოზული გამოცდაა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისათვის, რადგან სწორედ წლის ამ დროს ბევრი კოლმეურნეობა უშვებს პროდუქტიულობის შემცირებას, ხშირია მოზრდილი პირუტყვისა და მოზარდეულის დაცემის შემთხვევები. ამავე დროს მოწინავეთა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გაძლიერებული კვების, პირუტყვის გულმოდგინე მოვლის, ფერმებში შეწყობილი მუშაობის პირობებში შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში მიიწეულ იქნას მაღალი, თანაზომიერი წველადობა.

ჩვენს ხელთ არის ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებში 1955 და 1956 წლების ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის წველადობის მაჩვენებლები. ისინი მეტყველებენ, რომ 1956 წლის ოქტომბერსა, ნოემბერსა და დეკემბერში 1955 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რაიონის კოლმეურნეობებში საგრძნობლად იკლო რძის წარმოებამ. ამ ფაქტის ახსნა მხოლოდ ერთი მიზეზით შეიძლება: ჩოხატაურის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, რომლებიც დაკმაყოფილდნენ მეცხოველეობაში გასულ სამეურნეო წელს მოპოვებული ერთგვარი მიღწევებით, აშკარად შეასუსტეს ამ დარგისადმი ხელმძღვანელობა.

როგორც ცნობილია, მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობაში წარმატებათა საფუძველი და პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრების უტყუარი საწინდარია. მაგრამ ეს უდავო ჭეშმარიტება არ გაითვალისწინეს დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში, სადაც სანახევროდაც ვერ შეასრულეს უხეში საკვების დაგროვების გეგმები. მაგალითად, ტყიბულის რაიონში დავალება შესრულდა მხოლოდ 9,3 პროცენტით, აბაშის რაიონში — 16,7, ზესტაფონის — 20,8, ცაგერის — 27, საჩხერის — 34,7, ცხაკაიას — 37,2, სამტრედიის — 40,8, წულუკიძის რაიონში — 41,2 პროცენტით და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 28,2 პროცენტით. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც ქუთაისის, წყალტუბოს, ვანის და ორჯონიკიძის რაიონებშია.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ რაიონებში პირუტყვის ნორმალურ გამოზამთრებას შეექმნა სერიოზული საფრთხე, რაც საკვების დიდ ნაკლებობასთან არის დაკავშირებული, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები არ იღებენ გადამჭრელ ზომებს საკვები რესურსების შესავსებად. გეგეჭკორის, ცხაკაიას, ქუთაისის, ხობის, წულუკიძის და სხვ. რაიონების კოლმეურნეობებმა აქამდე ისიც „ვერ მოახერხეს“, რომ გამოეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში საკვების დამზადების მიზნით.

ერთ წუთსაც არ შეიძლება შევურიგდეთ ასეთ მდგომარეობას. დასავლეთ საქართველოს რაიონების ხელმძღვანელი და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა დაუყოვნებლივ მიიღონ საჭირო ღონისძიებანი უხეში საკვების შესაძენად იმ კოლმეურნეებისა და კოლმეურნეობებისაგან, რომლებსაც მოეპოვებათ ნამეტი ფონდები. ამას გარდა საჭიროა ადგილზე გამოვნახოთ და შევავსოთ საკვების მარაგი.

პირუტყვის გამოზამთრების საქმეში დიდი როლი აკისრიათ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს. ისინი ვალდებული არიან დაეხმარონ კოლმეურნეობებს პირუტყვის სწორ კვებასა და სანიმუშო მოვლის მოწყობაში, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციაში. მაგრამ მთელი რიგი მტს-ები მეცხოველეობაში კვლავ „ჩაურევლობის“ პოზიციებზე დგანან.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, კერძოდ, მისმა მტს-ებისა და მექანიზაციის მთავარმა სამმართველომ ყოველდღიურად უნდა უხელმძღვანელონ სოფლის მექანიზატორთა აქტიურ მუშაობას მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობისათვის. მან ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანიზაციებთან ერთად ფართოდ უნდა დანერგოს მოწინავე მტს-ებისა და მექანიზატორთა გამოცდილება.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში ერთგვარი მუშაობა იქნა გაწეული მეცხოველეობის ბინათმშენებლობის დარგში. მაგრამ ბევრი კარგი საერთო მაჩვენებლის უკან იფარება ჩამორჩენა მთელი რიგი რაიონების და კოლმეურნეობებისა, რომლებიც წლითიწლობით ვერ ასრულებენ მშენებლობათა გეგმებს. აშკარაა, რომ საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო ჯერ კიდევ სათანადო ხელმძღვანელობას და ოპერატიულ დახმარებას ვერ უწევს კოლმეურნეობებში მეცხოველეობის ბინათმშენებლობას, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები არასაკმარისად ამარაგებენ კოლმეურნეობებს აუცილებელი საშენი მასალებით.

როგორც ყოველ საქმეში, ისე მეცხოველეობაშიც წარმატების ბედს წყვეტენ კადრები. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან განამტკიცონ მეცხოველეობის ფერმები ისეთი ადამიანებით, რომლებსაც სათანადო ავტორიტეტი აქვთ და უნარი შესწევთ პირუტყვის წესიერად გამოზამთრებით მიაღწიონ მიმდინარე სამეურნეო წელს მეცხოველეობის ახალ აღმავლობას.

ამოცანა ის არის, რომ ორგანიზებულად გამოვაზამთროთ პირუტყვი, ხაჭმით ვუპასუხოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პარტიისა და მთავრობის მოწოდებას!

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კომპოზიტორ ანდრია მელიტონის-ძე ბალანჩივაძისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ ა. მ. ბალანჩივაძის დაბადებიდან 50 წლის შესრულებასთან დაკავშირებით და მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის აღსანიშნავად მიენიჭოს კომპოზიტორ ანდრია მელიტონის-ძე ბალანჩივაძეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1957 წ. 29 იანვარი.

სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციასთან

29 იანვარს მოსკოვში, კრემლში, განგრძობილ იქნა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციასთან, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სახელმწიფო ვიზიტით.

მოლაპარაკებაში ჩეხოსლოვაკიის მხრივ მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ანტონინ ზაპოტოცკიმ, მთავრობის თავმჯდომარემ ვილიამ შიროკიმ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანტონინ ნოვოტნიმ და სხვებმა.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილეებმა ა. ი. მიქოიანმა და მ. ზ. საბაროვმა და სხვებმა.

შეხვედრის დროს, რომელიც გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, გაგრძელდა აზრთა გაზიარება როგორც ორი ქვეყნის ძმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საკითხებზე, ისე აგრეთვე იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებთან. მხარეებმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი დეკლარაცია.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, ვ. შიროკიმ, კ. ე. ვოროშილოვმა, ა. ნოვოტნიმ, ა. ზაპოტოცკიმ სრული კმაყოფილება გამოთქვეს მოლაპარაკების შედეგების გამო, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხთა შორის გულითადი და ნამდვილად ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციამ საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს გადასცა ჩეხოსლოვაკიის მთავრობისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევა — ჩავიდნენ საბჭოთა მხარისათვის მოხერხებულ დროს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში მეგობრული ვიზიტით. სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციამ მადლობით მიიღო ეს მიწვევა.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ზაპოტოცკიმ დარბაზობა გამართა

საბჭოთა კავშირში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციის სახელმწიფო ვიზიტით ყოფნის გამო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ზაპოტოცკიმ 28 იანვარს მოსკოვში ჩეხოსლოვაკიის საელჩოში დარბაზობა გამართა.

დარბაზობაზე იყვნენ დელეგაციის წევრები — ჩეხოსლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარე ვილიამ შიროკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონინ ნოვოტნი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვაცლავ კოპეცკი, მინისტრი — სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ინჟინერი ოტა შიმუნეკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირჟი გენდრიხი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, მინისტრი — მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ემანუელ შლეხტა, საგარეო ვაჭრობის მინისტრი რიჰარდ დვორჟაკი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დოქტორი იოზეფ პლოიგარი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ბოგუმირ ლომსკი, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი იოზეფ კისელი, რწმუნებულთა კორპუსის თავმჯდომარე რუდოლფ სტრეხაი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში იაროსლავ ვოშაგლიკი, ჩეხოსლოვაკიის საელჩოს პერსონალი, მრჩევლები, ექსპერტები და დელეგაციის თანმხლები პირები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები, საბჭოთა არმიის გენერლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სამინისტროების პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სტუმართა შორის იყვნენ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში, საელჩოებისა და მისიების თანამშრომლები, აგრეთვე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობის დროს, რომელმაც გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, სტუმრებს მიესალმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ზაპოტოცკი. მან განაცხადა:

ამხანაგ ა. ზაპოტოცკის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო ვოროშილოვ, პატივცემულო ამხანაგო ბულგანინ, პატივცემულო ამხანაგო ხრუშჩოვ!

ძვირფასო ამხანაგებო, პატივცემულო სტუმრებო!

ნება მიბოძეთ ვისარგებლო ჩვენს საელჩოში თქვენი ყოფნით და შევეხო ორ საკითხს, რომლებიც ახლა, საბჭოთა კავშირში ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ბევრ ადგილას სხვადასხვანაირი მსჯელობის საგანია.

უწინარეს ყოვლისა საკითხი ეხება ჩვენს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, რისთვისაც ხშირად გვესხმიან თავს, კერძოდ, კაპიტალისტური დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში.

ჩვენს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან იქ თვლიან არათანასწორუფლებიან ურთიერთობად, რომელიც დამყარებულია დამორჩილებასა და დამოკიდებულებაზე, მოკლედ რომ ვთქვათ, გამოდის, რომ ჩვენ „სატელიტები“ ვართ. ამიტომ აგრეთვე დასავლეთში ხშირად ლაპარაკობენ იმაზე, რომ საჭიროა ჩვენ „გაგვათავისუფლონ“. ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან არის იმ არამეგობრული პოზიციის მიზეზი, რომელიც დასავლეთის ზოგიერთ მთავრობას ჩვენს მიმართ უკავია. გვაგრძნობინებენ, რომ ეს პოზიცია შეიცვლებოდა, თუ ჩვენი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ასე თუ ისე, შესუსტდებოდა. ბოლოს, გადაკვრითაც კი ამბობენ, რომ კაპიტალისტური მთავრობებისათვის ჩვენი კომუნიზმი მისაღები იქნებოდა, იგი რომ სხვანაირი — ვთქვათ, ეროვნული, ლიბერალური ყოფილიყო, მოკლედ, იგი რომ ესოდენ კომუნისტური არ ყოფილიყო.

მსურს ყველა იმათ, ვინც მხედველობაში იღებს ასეთ მოსაზრებებს, ვუთხრა, რომ ტყუილუბრალოდ იმტვრევენ თავს და ამაოდ ხარჯავენ დროს. ისინი ემორჩილებიან თავიანთ საკუთარ წარმოდგენებსა და პრაქტიკას. ისინი ჩვენს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან განიხილავენ თავიანთი კაპიტალისტური თვალსაზრისით და ჩვენ თავიანთი აღლით გვზომავენ.

რა თქმა უნდა, ურთიერთობა ჩვენსა და საბჭოთა კავშირს შორის არ შეიძლება იყოს ისეთი ურთიერთობა, რომელიც ჩვეულებრივია კაპიტალისტურ სამყაროში, სადაც უფრო ძლიერი სრესს და ანადგურებს უფრო სუსტს.

ჩვენი ურთიერთობა არის სოციალისტური, დამყარებული თანასწორუფლებიანობაზე, ურთიერთ თანამშრომლობასა და დახმარებაზე, ურთიერთობა, რომლის დროსაც თვითეული პარტნიორი ცდილობს თავისი ინტერესები შეუთანხმოს მეორის ინტერესებს და თანამშრომლობისა და მოკავშირეობის მთავარ ამოცანად მიიჩნია დაეხმაროს მეორეს მის ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, და არა გამოიყენოს ეს ნაკლოვანებანი თავისი ინტერესებისათვის.

ჩვენ ყველა ხალხის წინაშე და მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ: „ჩეხოსლოვაკიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული და სამოკავშირეო ურთიერთობა ემყარება სუვერენიტეტის, თანასწორუფლებიანობის, ჩაურევლობის, ურთიერთ პატივისცემის, თანამშრომლობისა და ძმური დახმარების მტკიცე და ურყევ საფუძვლებს“.

ამ ურთიერთობამ ჩვენს ქვეყნებს მოუტანა და მუდამ მოაქვს ყოველმხრივი და აუარაცხელი სარგებლობა საერთო საქმის ინტერესებისათვის.

მეორე საკითხი, რომელიც ამჟამად ყურადღებისა და განხილვის საგანია, არის ჩვენი ჩამოსვლის მიზანი, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის რაოდენობა და შემადგენლობა.

ფიქრობენ იმაზე, თუ მოსკოვში რატომ ჩამოვიდნენ არა მარტო კომუნისტები და ამ მოგზაურობაში რატომ მიიღეს მონაწილეობა აგრეთვე ეროვნული ფრონტის სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა. ეს უბრალოდ აიხსნება. ჩვენ დავისახეთ ამოცანა ჩვენს ქვეყანაში ავაშენოთ სოციალიზმი, რისთვისაც კომუნისტური პარტია უკვე ათეული წლებია იბრძვის. მაგრამ საუკეთესო აწმყო და საუკეთესო მომავალი ჩვენ გვსურს ვაშენოთ არა მარტო კომუნისტებისათვის, არამედ მთელი ჩვენი ჩეხი და სლოვაკი ხალხისათვის. ამისათვის საჭიროა არა მარტო ჩვენი, კომუნისტების ძალები, არამედ ყველა ჩვენი მოქალაქის, მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის ძალები, რომლებსაც სწორედ აერთიანებს და წარმოადგენს ჩვენი ეროვნული ფრონტი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ეროვნული ფრონტი არ არის პოლიტიკური პარტიების კოალიცია, რომლებიც ისახავენ სხვადასხვა ეგოისტურ მიზნებს. ჩვენს ეროვნულ ფრონტსა და მის მთავრობას აქვთ საერთო, ერთიანი და მტკიცე პროგრამა და მიზანი: სულ უფრო კარგად უზრუნველყოონ მთელი ჩვენი ხალხის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი და ააშენონ სოციალიზმი.

ჩვენ რომ ამას ვახერხებთ, ეს ძალაუნებურად ბევრჯერ აღიარეს აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოთა სხვადასხვა მოღვაწეებმა, რომლებიც არც თუ ძლიერ მეგობრულად გვეპყრობიან.

ჩვენ წარმატებებს ვერ მოვიპოვებდით, საბჭოთა კავშირთან მეგობრობა და მოკავშირეობა, რომ არა გვქონოდა. თუ ის არ დაგვხმარებოდა, არ იქნებოდა არც ჩვენი თავისუფლება და არც დამოუკიდებლობა, არც სახალხო მეურნეობის თანმიმდევრული დიდი განვითარება და არც ცხოვრების დონის ამაღლება. თუ საბჭოთა კავშირთან კავშირი, მისი ძმური დახმარება არა გვქონოდა, ვერ შევძლებდით უზრუნველგვეყო სახალხო მეურნეობის განვითარება და ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება აგრეთვე მომავალში. ჩვენ ვერ შევძლებდით უზრუნველგვეყო სოციალიზმის აშენების ძირითადი წინაპირობაც კი — ჩვენი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს მიუხხენის საფრთხის მსგავსი საშიშროება. წარმოებს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და ცხადდება სხვადასხვა დოქტრინა, რომლებიც შეიძლებოდა საფრთხე ყოფილიყო მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

ეს ფაქტები ცნობილი და ნათელია მთელი ჩვენი ხალხისათვის დამოუკიდებლად პოლიტიკური კუთვნილებისა. ამიტომ ჩვენს მოლაპარაკებას მოსკოვში ესწრებიან ეროვნული ფრონტის ყველა პარტიის წარმომადგენლები, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მშვიდობის განმტკიცებისა და სოციალიზმის აშენების ინტერესებისათვის კვლავაც განამტკიცონ ჩვენი მოკავშირეობა საბჭოთა კავშირთან.

ეს მიმაჩნდა ამ შემთხვევაში საჭიროდ განმემარტა და ხაზგასმით აღმენიშნა.

ვიღებ ჭიქას და ვადღეგრძელებ ჩვენს მეგობრობას საბჭოთა კავშირთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან, ვადღეგრძელებ მშვიდობის ბანაკის ერთიანობას, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირი, მეგობრობას ყველა ქვეყანასთან, მათი საზოგადოებრივი წყობილების მიუხედავად, რომლებიც დაინტერესებული არიან მეგობრული ურთიერთობის დამყარებით და გაფართოებით, რომლებსაც სურთ ჩვენთან თანამშრომლობა თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე მსოფლიო ეკონომიური და კულტურული აყვავების ინტერესებისათვის, რომლებიც მზად არიან დაიცვან მშვიდობა და გაუწიონ წინააღმდეგობა ყოველგვარ აგრესიას, რომელიც მიზნად ისახავს ხალხთა ჩაგვრასა და ექსპლოატაციას.

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა თავის სიტყვაში თქვა:

ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო პრეზიდენტო!

ძვირფასო ამხანაგებო, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციის წევრებო!

მოხარული ვარ მოგესალმოთ აქ, როგორც ყველაზე ძვირფას, ყველაზე მშობლიურ, საყვარელ მეგობრებს, რომლებიც წარმოადგენენ ჩეხოსლოვაკიის მოძმე სოციალისტურ რესპუბლიკას.

თქვენ სავსებით სამართლიანად მოიხსენიეთ მოცლილი ჭორიკანების ყოველგვარი ჭორები გალმა ნაპირიდან საბჭოთა კავშირში თქვენი დელეგაციის სახელმწიფო ვიზიტის შესახებ. თქვენი ნათქვამი სამართლიანია, რაც უფრო დიდია ჩვენი მეგობრობა, რაც უფრო ახლოს ვართ ერთმანეთთან, რაც უფრო მეტს ვაკეთებთ ჩვენი ხალხების სასარგებლოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის სასარგებლოდ, მით უფრო ბევრია გაბოროტებული და ყოველგვარი უსიამოვნო ლაპარაკი და ჭორი.

თქვენ აქ მშვენივრად განმარტეთ ყოველივე ეს და, მე მგონია, უკეთესია სხვაზე ვილაპარაკოთ.

ნება მიბოძეთ წარმოვთქვა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის აქ მყოფი ხელმძღვანელი მოღვაწეების, ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობის სადღეგრძელო.

საბჭოთა ხალხისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხის მეგობრობამ მრავალი განსაცდელი გამოიარა და უფრო მტკიცე და გამოწრთობილი გახდა. ხალხური სიბრძნე ამბობს: ნამდვილი მეგობრები უბედურებაში გამოჩნდებიანო. ჩვენც გვქონდა სიძნელეები და გაჭირვება! მაგრამ მათ მხოლოდ დაგვაახლოეს, დაგვათესავეს, სამუდამოდ განამტკიცეს ჩვენი საბრძოლო კავშირი ნამდვილი თანასწორობითა და ძმობით.

ჩვენი მეგობრობა თავის სრულ გამოხატულებას პოულობს თანამშრომლობით პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. საბჭოთა ხალხი ხალისით გადასცემს გამოცდილებას ჩეხოსლოვაკიის ხალხს და თავის მხრივ მზად არის გადმოიღოს ყოველივე ძვირფასი და მოწინავე, რაც ნიჭიერ, მშვიდობისმოყვარე ჩეხოსლოვაკ მეგობრებს აქვთ.

ვამაყობთ ჩვენი შესანიშნავი მეგობრობით, რომელიც ერთგულად ემსახურება სოციალიზმის საქმეს.

ჩეხოსლოვაკიის ხალხმა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის გმირულ ბრძოლაში წამოაყენა გამოჩენილი ხელმძღვანელები და მებრძოლები, რომლებითაც იგი სამართლიანად ამაყობს. წარსულ დროებზე თუ აღარ ვილაპარაკებთ, ჩვენს თანამედროვეთა შორის ვხედავთ ისეთ შესანიშნავ ადამიანებს, როგორიც არიან ამხანაგები ზაპოტოცკი, შიროკი, ნოვოტნი და მთელი რიგი სხვა ამხანაგები.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ ახალი ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო მოღვაწეებმა და მათ შორის პატივცემულმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ზაპოტოცკიმ ნაყოფიერად იშრომეს და შრომობენ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

ჩვენში, საბჭოთა კავშირში, კარგად იცნობენ და უყვართ ამხანაგი ზაპოტოცკი. იგი ცნობილია როგორც მუშათა მოძრაობის ვეტერანი, გამჭრიახი პოლიტიკოსი და თავისი მშვენიერი სოციალისტური სამშობლოს მხურვალე პატრიოტი. ხოლო ნამდვილი პატრიოტიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი განუყოფელია ერთმანეთისაგან. ისინი აერთიანებენ სოციალიზმის მილიონობით მშენებელს, აღაფრთოვანებენ მათ, ამრავლებენ მათს ძალებს კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

ვიღებ ჭიქას და ვადღეგრძელებ პრეზიდენტს ამხანაგ ზაპოტოცკის!

ვადღეგრძელებ ყველა ჩეხოსლოვაკ მეგობარს!

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სამარადისო ძმურ მეგობრობას, მთელ მსოფლიოში მშვიდობას, თქვენ, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო და მასპინძლებო!

* * *

ამხანაგების ა. ზაპოტოცკისა და კ. ე. ვოროშილოვის სიტყვებს მქუხარე ტაშით შეხვდნენ. დარბაზობის დასასრულს, როცა საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა დარბაზში გაიარეს ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად, შეკრებილებმა მქუხარე ოვაცია მოაწყეს. გაისმოდა ხმამაღალი „ვაშა“, დარბაზის ყოველ კუთხეში ისმოდა შეძახილები ორივე ქვეყნის ურღვევი ძმური მეგობრობის აღსანიშნავად. (საკდესი).

საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები მხარს უჭერენ წითელწყაროელთა პაჭრიოჭულ ინიციატივას დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ

★

მთიან სოფელში

ზნაური. (საკ. კორ.). სოფელ ავნევის გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს, რომლებიც სახელდახელოდ მოწყობილ კრებაზე მოვიდნენ, ხელთ ეჭირათ ახალმიღებული გაზეთები, სადაც დაბეჭდილია წითელწყაროელთა მოწოდება.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რ. სიქტურაშვილმა, რომელმაც კოლმეურნეებს გააცნო წითელწყაროელთა პატრიოტული ინიციატივა, განაცხადა: საბჭოთა ადამიანები უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად. დიდმა ოქტომბერმა გლეხებს ბედნიერი ცხოვრება დაუმკვიდრა. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვით გარემოსილ ავნეველ კოლმეურნეებს არაერთხელ მოუყვანიათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი. შარშან ცალკეულ ბრიგადებში სიმინდის მოსავალმა საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერს მიაღწია. წელს ასეთი მოსავალი უნდა მივიღოთ მთელ ფართობზე — 190 ჰექტარზე, ხოლო 15 ცენტნერი ხორბალი — 200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — ასეთია ჩვენი ვალდებულება.

სიტყვას იღებს მებაღეობის ბრიგადირი დ. დურგლიშვილი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამას წინათ გამოქვეყნებულმა მიმართვამ სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი ჩვენში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია. წითელწყაროელთა მოწოდებას ჩვენი კოლმეურნეები ახალი ენერგიით ხვდებიან. ყოველწლიურად მოგვყავს ხილის მაღალი მოსავალი. 1955 წელს საშუალოდ ჰექტარზე 187 ცენტნერი ვაშლი მივიღეთ. კარგი იყო ხილის მოსავალი შარშანაც. ბრიგადის წევრთა სახელით ვალდებულებას ვკისრულობ წელს 24 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 200 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ვაშლი.

კრებაზე სიტყვით გამოსულმა მეცხოველემ ი. ჩიხლაძემ განაცხადა, რომ წელს კოლმეურნეობაში 170 ძროხიდან თვითეულზე მიიღებენ 1.500 ლიტრ რძეს, შარშანდელზე 300 ლიტრით მეტს.

ავნეველმა კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წელს გაასუქონ 50 ღორი — თვითეული 80 კილოგრამი წონით. კოლმეურნეობაში გააშენებენ 16 ჰექტარ ბაღს და 3 ჰექტარ ვენახს.

ქასპის რაიონის სოფელ ქვემო გომის კოსიგინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. გელიაშვილი კოლმეურნეებს უკითხავს წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეთა, მტბევრისა და ელდარის საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა მიმართვას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პროდუქტების სიუხვისათვის

ქასპი. (სპეც. კორ.). საკოლმეურნეო სოფელში დიდი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. კოლმეურნეები, მექანიზატორები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის გაზაფხულის მინდვრის სამუშაოებს ყოველმხრივ მზად შეხვდნენ. იმარაგებენ ყველა კულტურის თესლს, ნიადაგში შეაქვთ სასუქები, ხეილის ბაღებსა და ვენახებში მიმდინარეობს მწკრივთა შორის ნიადაგის დამუშავება.

რაიონში გულდასმით ეცნობიან წითელწყაროელთა მოწოდებას და კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს.

სოფელ ქვემო გომის კოსიგინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა სახელდახელოდ შეკრებილ მიტინგზე კოლმეურნეებს წითელწყაროელთა მიმართვა გააცნო კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ვ. გელიაშვილმა.

მიმართვის გაცნობისას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. მესროფაშვილმა განაცხადა:

— გასული სამეურნეო წელი ჩვენმა კოლმეურნეობამ კარგი მაჩვენებლით დაამთავრა. 270 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 13,7 ცენტნერი ხორბალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ცენტნერისა. 32 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიყვანა 53 ცენტნერი ვაშლი და ამით მოსავლიანობის გეგმას 23 ცენტნერით გადააჭარბა. კოლმეურნეობამ ასევე ნაყოფიერად იმუშავა შაქრის ჭარხლის, ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის.

მოსავლიანობასთან ერთად იმატა კოლმეურნეობათა შემოსავალმა. მაგალითად, თუ 1955 წელს კოლმეურნეობაში მთლიანი შემოსავალი იყო — 895 ათასი მანეთი, 1956 წელს იყო 1.330 ათასი მანეთი, თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეებს ერგოთ 3 კილოგრამი მარცვლეული და ფულად 7,5 მანეთი.

ჩვენთან მოსავლიანობის გადიდების საქმეში მეტი შესაძლებლობა არსებობს. წითელწყაროელთა მაგალითისამგბრ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვებმებით სოფელ კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობასთან და კოლმეურნეთა სახელით ვკისრულობთ: 270 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 15 ცენტნერი ხორბალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9 ცენტნერისა. სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დავთესოთ 70 ჰექტარზე და ყოველ ჰექტარზე მივიღოთ 50 ცენტნერი და ამით მოსავლიანობის გეგმას 30 ცენტნერით გადავჭარბოთ, 32 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოვიყვანოთ 60 ცენტნერი ვაშლი ნაცვლად 30 ცენტნერისა. 25 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ნაცვლად 300 ცენტნერისა. 150 ძროხიდან თვითეულზე მივიღოთ 800 კილოგრამი რძე და ამით დაწესებულ გეგმას 200 კილოგრამით გადავჭარბოთ. გავასუქოთ 50 ღორი.

★

საყოველთაო-სახალხო საქმე

ქედა. (საკ. კორ.). დიდი თოვლია ახლა ქედის რაიონის მაღალმთიან სოფლებში. ზოგან გაზეთებისა და კორესპონდენციების მიტანაც ძნელდება. მაგრამ ყველაზე შორეული და მთიანი ადგილებიც კი ყოველდღიურად ისმენენ რადიოს, ახალ ამბებს.

როდესაც მოწინავე მეთამბაქოე ქალმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. ანანიძემ მიმართვა მოისმინა, თქვა: ჩვენს ქვეყანაში ტრადიციად გადაიქცა ყოველ დღესასწაულს ან ღირსშესანიშნავ თარიღს ახალი შრომითი გამარჯვებებით შევხვდეთ. წელს ამ საქმეში ინიციატივა გამოიჩინეს წითელწყაროელმა კოლმეურნეებმა. მათ მიმართეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად.

ჩვენ, ქედელი კოლმეურნეები, მიგესალმებით წითელწყაროელთა ძვირფას თაოსნობას და პირობას ვდებთ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შევეგებოთ ამ დიად დღესასწაულს. უხვი მოსავლის მოყვანა საყოველთაო-სახალხო საქმეა. პირადად მე შარშან 0,2 ჰექტარზე მოვიყვანე 548 კილოგრამი ხარისხოვანი თამბაქო ნაცვლად 315 კილოგრამისა, წელს ვალდებულებას ვკისრულობ იმავე ფართობზე მოვიყვანო სულ ცოტა 650 კილოგრამი თამბაქო, ანუ 32,5 ცენტნერი ჰექტარზე გადაყვანით.

მოწონებით შეხვდნენ

ქარელი. (საკ. კორ.). აგარელი მექანიზატორები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიმართვას გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1957 წელს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

აგარის მტს-ის მექანიზატორებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ხაშურის მტს-ის მუშაკთა კოლექტივი და იკისრეს შემდეგი კონკრეტული ვალდებულებანი: ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტის გეგმა შეასრულონ მიმდინარე წლის 20 თებერვლისათვის. ამ დროისათვის მთელი პარკი მზად იქონიონ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. მიმდინარე წელს თვითეულ პირობით ტრაქტორზე გამოიმუშაონ 450 ჰექტარი. საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 11,5 ცენტნერი მარცვლეული და 250 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ნაცვლად 198 ცენტნერისა. საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 860 ლიტრი რძე ნაცვლად 810 ლიტრისა. საგაზაფხულო თესვა ჩაატარონ ვადაზე ადრე. მიმდინარე წელს კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესონ 600 ჰექტარი სიმინდი დაყალიბებული თესლით. პირობითი ჰექტარის დამუშავების თვითღირებულება შეამცირონ 1 მანეთით.

პრესის მიმოხილვა

ფართოდ ავსახოთ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავდა კოლმეურნეობის სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, მის მუშაობაში დამკვიდრებული იყო ფორმალიზმი, კომუნისტები ღრმად არ სწავლობდნენ მეურნეობის ეკონომიკას, სუსტი იყო მასებთან კავშირი, მათ არ ზრდიდნენ სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკული საკითხების გადაჭრისათვის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენდა სოფელ ციმის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით შესრულებაზე. ამიტომ იყო, რომ ზუგდიდის რაიონულ გაზეთ „მებრძოლის“ ფურცლებზე არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული ამ კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა.

გაზეთის კრიტიკულმა გამოსვლებმა დადებითი შედეგი გამოიღო — საგრძნობლად გარდაიქმნა პარტორგანიზაციის მუშაობა, პარტიულმა ბიუროომ კომუნისტები გაანაწილა მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე, ამაღლდა კომუნისტების აქტივობა და მათი ავანგარდული როლი, პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა მასების შემოქმედებითს შრომას, ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლას.

პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცოცხლების შედეგად სერიოზული გარდატეხა მოხდა კოლმეურნეობის საქმიანობაში. გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია. გასულ წელს კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 2.400 ათას მანეთს მიაღწია, თითო შრომადღის ანგარიშში ავანსად გაიცა 10 მანეთი. მრავალი მნიშვნელოვანი სამუშაო მიმდინარეობს სოფლის კეთილმოწყობისათვის, საკოლმეურნეო მშენებლობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ პარტიულ ორგანიზაციას თავის მუშაობაში ჯერ კიდევ მთელი რიგი ნაკლოვანებები აქვს. ამ ნაკლოვანებათა შესახებ გაზეთმა „მებრძოლმა“ კიდევ ერთხელ, 12 ოქტომბრის ნომერში, დაბეჭდა წერილი, რომელშიც მიღწევებთან ერთად აღნიშნულია პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ჩრდილოვანი მხარეები. გაზეთი, აკრიტიკებს რა ნაკლოვანებებს, უჩვენებს მათი გამოსწორების გზებს, სავსებს ამოცანებს მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

გაზეთის ასეთი თანმიმდევრული კრიტიკა, ნაკლოვანებებთან შეურიგებელი ბრძოლა, ზრუნვა მათი ბოლომდე აღმოფხვრისათვის იმას მოწმობს, რომ რედაქცია არ ტოვებს, არ ივიწყებს მის მიერ წინათ გაკრიტიკებულ პარტიულ ორგანიზაციებს, მათ ცხოვრებას. გაზეთის მუშაობის ასეთი პრაქტიკა, პარტიული მუშაობის გაუმჯობესებისათვის დაუცხრომლად ზრუნვა, რა თქმა უნდა, სერიოზულად დაეხმარება საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლაში.

გაზეთ „მებრძოლის“ ფურცლებზე მრავალი საინტერესო წერილი და კორესპონდენცია იბეჭდება საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაზე, მათს ნაკლოვანებებსა და წარმატებებზე, იმაზე, თუ როგორ ეხმარებიან ისინი კოლმეურნეობათა გამგეობებს მუშაობის გაუმჯობესებაში, როგორ რაზმავენ კოლმეურნეებს მეექვსე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად. ბევრი წერილი და კორესპონდენცია საინტერესოდ არის გაკეთებული და მოიცავს პარტიული ორგანიზაციების ცხოვრების მრავალ საკითხს. პარტიული ცხოვრების რუბრიკით გაზეთში იბეჭდება მაღალი პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის მიმდინარეობის, კომუნისტთა თეორიული ცოდნის დონის ამაღლების, მასებში პოლიტიკური აგიტაციის ფართოდ გაშლის, სამეურნეო საქმიანობასთან პარტიული მუშაობის უნარიანად შეხამების, სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში კომუნისტთა ავანგარდული როლის შესახებ და სხვა მრავალ აქტუალურ თემაზე.

გაზეთმა დაბეჭდა მოწინავე წერილი „საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი“. მასში ლაპარაკია საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივნის მოვალეობებზე, გაშუქებულია ის, თუ როგორ უნდა იბრძოდეს იგი კოლმეურნეობის კომუნისტების დასარაზმავად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის, როგორ უნდა ზრუნავდეს პარტიული მუშაობის უკეთ მოწყობისათვის. როგორც გაზეთი წერს, ამ მხრივ მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა სოფელ რუხის კოლმეურნეობა „ახალი აბასთუმნის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი კ. ფაქავა, რომელიც დაუცხრომლად ზრუნავს კომუნისტების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის განვითარებისათვის, გულისხმიერად უგდებს ყურს მასების ხმას. პარტიული ორგანიზაციის მდივნის, პარტბიუროს უნარიანი მუშაობის შედეგად ყველა კომუნისტი პირნათლად ასრულებს პარტიულ დავალებას, სათავეში უდგას და წარმართავს სოციალისტურ შეჯიბრებას სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, ამიტომ არის, რომ სოფელ რუხის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. ამასთან ერთად მოწინავე წერილში გამოაშკარავებულია მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების ნაკლოვანებანი, ნაჩვენებია ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები. სწორად დაასკვნის გაზეთი, რომ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებით, პარტბიუროებისა და მათი მდივნების სისტემატური, ენერგიული მუშაობით წარმატებით შესრულდება პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანები.

გასული წლის დეკემბერში ზუგდიდის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა, რომ 1956 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩაისა და სიმინდის უფრო დაბალი მოსავალი მიიღეს, ვიდრე წინა წელს. ასეთივე მდგომარეობაა საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში. ეს ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად რაზმავენ მშრომელებს რაიონის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. ამიტომ გაზეთის ვალია თავის ფურცლებზე კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს მკაცრი, საქმიანი კრიტიკა, რომელშიც მოცემული იქნება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების პარტორგანიზაციების სუსტი მუშაობის ღრმა ანალიზი, გაკეთებული იქნება საჭირო დასკვნები. ცხადია, გაზეთის ასეთი გამოსვლები დაეხმარება პირველად პარტორგანიზაციებს სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობისათვის ბრძოლაში.

საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრების ყოველმხრივი გაშუქება, მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა და ჩამორჩენილთა მოურიდებელი კრიტიკა, ზრუნვა იმისათვის, რომ ამაღლდეს მათი როლი პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელებაში, ჩვენი პრესის მთავარი ამოცანაა. გაზეთ „მებრძოლის“ რედაქციამ ეს მნიშვნელოვანი საკითხები მომავალშიც უფრო ღრმად უნდა გააშუქოს.

საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე

ავამოქმედოთ ქვანახშირის ამოღების გაღიდების ყველა რეზერვი

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა ქვანახშირის მოპოვების 1956 წლის გეგმა მხოლოდ 88 პროცენტით შეასრულა. გასული სამეურნეო წელი განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დაამთავრეს №№ 3, 4, 5 და 6 შახტებმა. ტრესტისა და შახტების ხელმძღვანელობამ, პარტიულმა ორგანიზაციებმა სათანადოდ არ გაშალეს ბრძოლა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის. შახტებში ნელი ტემპით ინერგება ახალი სამთო ტექნიკა, ნაკლები ყურადღება ექცევა ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტას. ხშირია შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, სამთო მექანიზმების შეფერხებანი. ჯეროვანი ღონისძიებანი არ ხორციელდება შრომის პროგრესული მეთოდის — ციკლური გრაფიკით მუშაობის პრაქტიკაში დანერგვისათვის, სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის. ტრესტის მიხედვით ტონა ქვანახშირის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გადიდებულია 12 მანეთითა და 56 კაპიკით.

ქვანახშირის ამოღების გეგმების შეუსრულებლობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის სრულიად არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა ტრესტისა და შახტებისადმი.

ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით ითქვა ამას წინათ გამართულ ტყვარჩელის X საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელმაც ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა. კონფერენციამ ცხადყო ტყვარჩელის კომუნისტების დიდი აქტივობა, მათი შეურიგებლობა ქვანახშირის ამოღების საქმეში არსებული ჩამორჩენისადმი.

კონფერენციის მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ჯ. სიხარულიძე და ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის უფროსი მმართველი ა. გამხარაშვილი მუშაობაში არაოპერატიულობისათვის, მასებთან კავშირის შესუსტებისათვის. ტრესტისა და მისი განყოფილებების მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ბიუროკრატიზმი. საქალაქო კომიტეტის მუშაკები შახტების მუშაობის შესახებ მსჯელობდნენ ნაჩქარევად მიღებული ცნობებითა და ინფორმაციებით. ტრესტის ზოგიერთ მუშაკში დამკვიდრდა მლიქვნელობისა და მაამებლობის მავნე განწყობილება, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. ტრესტის საგეგმო განყოფილების უფროსი ამხ. გოლდმანი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ერთხელაც არ ყოფილა შახტში.

კამათის მონაწილე დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და პარტიის საქალაქო კომიტეტი სუსტად მუშაობდნენ სკკპ რიგების ზრდის საქმეში, არ უზრუნველყოფდნენ პარტიაში მოწინავე მუშახტელებისა და შახტმშენებლების მიღებას. ისეთ დიდ პარტიულ ორგანიზაციებში, როგორიც № 3 და № 4 შახტების, აგრეთვე ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციებია, საანგარიშო პერიოდში პარტიაში მხოლოდ ორ-ორი კაცია მიღებული, ხოლო № 6 შახტის პარტიულ ორგანიზაციას ამავე პერიოდში სრულებით არ უწარმოებია სკკპ რიგებში მიღება.

კონფერენციაზე ითქვა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავდნენ შახტებში, წარმოების გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტების სწორად განაწილებისათვის. პარტიული ძალების არასწორი განაწილების შედეგად მთელ რიგ საწარმოო უბნებში ერთი კომუნისტიც კი არ არის.

საქალაქო კომიტეტს სათანადო დასკვნები არ გაუკეთებია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1956 წლის 4 დეკემბრის დადგენილებიდან „საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტისა და ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის შახტების პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ“. კონფერენციის დელეგატებმა კ. ხვიტიამ, ი. ზოპუნიანმა და სხვებმა გააკრიტიკეს პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები იმისათვის, რომ ისინი მოსწყდნენ მასებს, სათანადო პრინციპულობას ვერ იჩენდნენ სამეურნეო და პარტიული მუშაობის საკითხების გადაწყვეტის დროს.

— საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები, — თქვა სტალინის სახელობის შახტის პარტბიუროს მდივანმა ლ. ქვარანძიამ, — რამდენჯერმე იყვნენ ტყვარჩელში, მაგრამ ტრესტისა და შახტების მუშაობაში ამას არავითარი გაუმჯობესება არ გამოუწვევია. და ეს იმიტომ, რომ ისინი მხოლოდ სხდომებისა და თათბირების მოწვევით კმაყოფილდებიან და ღრმად არ სწავლობენ ჩამორჩენის გამომწვევ მიზეზებს. კონფერენციის დელეგატმა — № 2 შახტის მოწინავე გამყვანმა ნ. შილობოკოვმა აღნიშნა, რომ ტყვარჩელის შახტებში სუსტად არის გაშლილი ბრძოლა შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის. შეეხო რა საქალაქო კომიტეტის მუშაობას, მან თქვა:

— სამი წელია, რაც პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრი ვარ, მაგრამ ამ ხნის მანძილზე არავითარი დავალება არ მიმიღია, პარტიული თუ სამეურნეო მუშაობის არც ერთი საკითხის შესწავლაში მონაწილეობა არ მიმიღია.

როგორც საანგარიშო მოხსენებიდან და კამათის მონაწილეთა გამოსვლებიდან გამოირკვა, პარტიული პროპაგანდა და პოლიტიკური აგიტაცია მოწყვეტილია სამეურნეო ამოცანებს. ცუდად მუშაობენ აგიტატორები № 5 და № 6 შახტებში. ხშირ შემთხვევაში სააგიტაციო საუბრები მშრალად, უინტერესოდ ეწყობა. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები იშვიათად გამოდიან მეშახტეებისა და შახტმშენებლების წინაშე პოლიტიკური მოხსენებებით.

სიტყვებით გამოსულმა დელეგატებმა გააკრიტიკეს პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც შეუწყნარებლად ნელი ტემპით აწყობენ თავიანთი მუშაობის ახლებურად, პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გარდაქმნას.

კონფერენციის მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრების ა. რეკვავას და შ. ციკოლიას გამოსვლამ. მათ კრიტიკულად არ შეაფასეს საქალაქო კომიტეტის ბიუროს მიერ გაწეული მუშაობა.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე № 2 შახტის უფროსი ვ. რევიშვილი, № 3 შახტის ნოვატორი გამყვანი ნ. ხაჭიპერაძე, ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის პარტბიუროს მდივანი შ. ჯინჯოლია, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მთავარი ინჟინერი ლ. რატიანი, საქალაქო გაზეთის „ტყვარჩელის მაღაროელის“ რედაქტორი მ. ხვინგია და სხვები.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ო. გოცირიძემ.

კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ.

* * *

შედგა ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ნ. კემულარია, მეორე მდივნად — პ. კრაკინსკი, მდივნად — შ. ნარმანია.

ი. ბოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პირველი გუმათკოსი—მორიგი ასამუშავებელი ობიექტი

კაშხალის გიგანტური კედელი თვალდათვალ იზრდება. ახლა იქ დიდი გამოცოცხლება იგრძნობა. გუმათკოსელი მშენებლები, აღფრთოვანებულნი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, განსაკუთრებული ხალისით შეუდგნენ 1957 წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულებას.

რუსთავის მეტალურგთა მიმართვამ მშენებლებში შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია. მშენებელი მექანიზატორები, მებეტონეები, ავტოტრანსპორტის მუშაკები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებით პირველობა მოიპოვონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მთავრობის მიერ დანიშნული ვადისათვის უზრუნველყონ რიონის კასკადის ახალი მძლავრი ობიექტის — გუმათის პირველი ჰიდროელექტროსადგურის აგრეგატების ამუშავება.



სურათზე: გუმათის პირველი ჰიდროელექტროსადგურის საოაკის ნაგებობათა უზანი.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

საქალაქო ფურცელი

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ერთი რეზერვის შესახებ

რკინიგზის ტრანსპორტი მუდმივმოქმედი კონვეიერია, რომლის ყოველი რგოლი, ყოველი ჭანჭიკი შეწყობილად უნდა მუშაობდეს. მისი რომელიმე უბნის ოდნავი შეფერხება არღვევს კონვეიერის მუშაობის რიტმს, გავლენას ახდენს ტვირთზიდვის გეგმაზომიერებაზე. ტვირთზიდვის სახელმწიფო დავალებათა შესრულება კი უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანაა.

რკინიგზის ტვირთგამტარიანობა პირდაპირ დამოკიდებულია ვაგონების ბრუნვაზე, იმაზე, თუ რამდენად სწრაფად მოხდება ვაგონების მიმოქცევა დატვირთვიდან დატვირთვამდე. ტვირთზიდვის მოცულობის ზრდების უმნიშვნელოვანესი რეზერვია ვაგონების ბრუნვის დაჩქარება. დადასტურებულია, რომ ვაგონი დატვირთვიდან დატვირთვამდე, ესე იგი ბრუნვის პერიოდში განვლილი დროის მხოლოდ 20-22 პროცენტს იმყოფება მოძრაობაში, დანარჩენ დროს იგი დგას ტექნიკური, სატვირთო და სხვა ოპერაციებისათვის სადგურებში. მარტო დატვირთვის ოპერაციებზე ვაგონის მოცდენის ერთი საათით შემცირება საშუალებას იძლევა გზებზე საღღეღამისო დატვირთვა თითქმის 2.200 ვაგონით გაიზარდოს, ხოლო ვაგონის ბრუნვის ერთი საათით დაჩქარება საღღეღამისო დატვირთვას 1.000 ვაგონით გადიდებს და საბრუნავი სახსრებიდან სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის ყოველწლიურად დაიზოგება 100 მილიონი მანეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ კლიენტები ვაგონებს სრულად არ ტვირთავენ. ამავე დროს დადგენილია, რომ მატარებლების წონის მხოლოდ ერთი პროცენტით გადიდება ყოველწლიურად თითქმის 900 მილიონ მანეთ ეკონომიას იძლევა.

ამ მხრივ ამიერკავკასიის რკინიგზაზე სახარბიელო მდგომარეობა არა გვაქვს. ჯერ კიდევ დიდია ვაგონების მოცდენა. ეს ხდება იმიტომ, რომ ზოგჯერ როგორც რკინიგზელები, ისე კლიენტები უხეშად აღღვევენ სარკინიგზო წესდებას, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ არის დამტკიცებული. ამ წესდების მეოთხმოცე პარაგრაფით რკინიგზა ვალდებულია ტვირთის მიმღებს იმავე დღეს აცნობოს მის სახელზე მოსული ტვირთის შესახებ ან არაუგვიანეს სადგურში ტვირთის მიღების მეორე დღის 12 საათისა. უშუალო შეტყობინების შესაძლებლობა თუ არ არის, სადგური ადგენს საცნობარო სიას ან სადგურის სალაროსთან გამოაკრავს განცხადებას მიღებული ტვირთების შესახებ.

როცა რკინიგზა არ შეასრულებს ამ მოთხოვნას, იგი კარგავს უფლებას ვაგონის მოცდენისათვის მიიღოს ჯარიმა და ტვირთის შენახვისათვის—საზღაური. კლიენტს ეკისრება მიიღოს და სადგურიდან გაიტანოს მის სახელზე მოსული ტვირთი. დატვირთვა-გადმოტვირთვაზე დადგენილი ნორმის ზევით ვაგონების სისტემატურ მოცდენაში და მოძრავი შემადგენლობის არადამაკმაყოფილებლად გამოყენებაში დამნაშავენი ეძლევიან დისციპლინარულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

სამწუხაროდ, ამ საწესდებო მოთხოვნებს ყველა რკინიგზელი და კლიენტი როდი ასრულებს. გასული წლის თერთმეტ თვეში ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მუშაკების დაუდევრობით ვაგონები დაწესებული ნორმის გადამეტებით 22.462 ვაგონსაათს მოცდა, რისთვისაც კლიენტმა 81.267 მანეთი ჯარიმა გადაიხადა. კვეზანის სადგურში ვაგონების გადმოტვირთვის 8.355 ვაგონსაათით დაგვიანებისათვის ტყვარჩელის თბოელექტროსადგურმა 60.897 მანეთი ჯარიმა გადაიხადა.

ვაგონების გადმოტვირთვის დაგვიანებისა და სადგურიდან ტვირთების გატანის გაჭიანურებისათვის არაერთგზის დაჯარიმებულან ქუთაისის საავტომობილო, საკონსერვო და მანქანათმშენებელი ქარხნები, ჭიათურის მარგანტრესტი, ბათუმის ფანერის ქარხანა, ციტრუსკომბინატი და სხვა საწარმოდაწესებულებანი.

ასეთი ფაქტების მოყვანა ჩვენი დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებათა ცხოვრებიდანაც მრავლად შეიძლება. მარშან, მაგალითად, თბილისის რკინა-ბეტონის ქარხანამ ნორმის გადამეტებით თითქმის 4.000 საათი მოაცდინა ვაგონები და 100 ათასამდე მანეთი ჯარიმა გადაიხადა. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არა აქვს ლითონგასაღების თბილისის კანტორას, რომელმაც გასულ წელს ნორმის გადამეტებით 8.265 საათს მოაცდინა ვაგონები. ამავე ხნის განმავლობაში რკინიგზას 26 ათასი მანეთი ჯარიმა გადაუხადა საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს პირველმა საერთო-სამშენებლო ტრესტმა. ამაზე უარესი მდგომარეობა აქვთ თბილისის ასფალტბეტონის ქარხანასა და „ნავთობაზას“. პირველი მათგანი რკინიგზამ ვაგონების მოცდენისათვის 46 ათასი მანეთით დააჯარიმა, ხოლო მეორე — 60.108 მანეთით.

ეს ფაქტები მეტად სერიოზული და დასაფიქრებელია. შექმნილი მდგომარეობა შეიძლება მხოლოდ იმით ავხსნათ, რომ დასახელებულ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები უყაირათოდ მუშაობენ, ანიავებენ სახელმწიფო თანხებს, არ ზრუნავენ მათთვის მინდობილი სახალხო დოვლათის მომჭირნეობით ხარჯვისათვის. ისინი განა ასე უსულგულო დამოკიდებულებას გამოიჩენდნენ, რომ ამ ჯარიმას სახელმწიფო სალაროდან კი არა, საკუთარი ჯიბიდან იხდიდნენ? რა თქმა უნდა, არა. საქმისადმი მათი უსულგულო დამოკიდებულება საბჭოთა სახელმწიფოს მილიონობით მანეთი უჯდება, იწვევს პროდუქციის თვითღირებულების ზრდას. დროა ბოლო მოეღოს აეთ დანაშაულებრივ მოქმედებას. სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა არავის ეპატიება.

ვაგონების მიმოქცევის დაჩქარებისათვის ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამისათვის თანაბარი დაინტერესებით უნდა იბრძოდნენ როგორც რკინიგზელები, ისე სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკები.

ვაგონების მოცდენის აღკვეთისა და ჯარიმებზე სახელმწიფო სახსრების ფლანგვის აღკვეთაში დიდია ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების როლი. როდესაც პარტიის რაიონული კომიტეტები განიხილავენ ან ამოწმებენ ამა თუ იმ სამეურნეო ორგანიზაციის, საწარმოს მოღვაწეობას, ღრმად უნდა სწვდებოდნენ წარმოების ეკონომიკას, არკვევდნენ არა მარტო იმას, შეასრულა თუ არა მან სახელმწიფო დავალება, არამედ იმასაც, თუ რა დაუჯდა მას გეგმის შესრულება, რამდენად უყაირათიანად მოიხმარა სახელმწიფო თანხები.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ვაგონების მოცდენის აღკვეთიან თვითეული მუშაკი დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს აკეთებს — ზოგავს სახსრებს, მატერიალურ მოგებას აძლევს სახელმწიფოს, ხელს უწყობს მეექვსე ხუთშოლიანი გეგმის გრანდიოზულ სამუშაოთა განხორციელების დაჩქარებას.

ა. შეროზია,
იუსტიციის მრჩეველი, ამიერკავკასიის რკინიგზის პროკურორის მოადგილე.

სამართლიანი მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს

12 წელზე მეტია, რაც დუშეთის რაიონის სოფელ სონდისველში მოითხოვენ სასოფლო მაღაზიის გახსნას. ეს სოფელი, ისევე როგორც მის ზემოთ მდებარე სოფელი ხორხი, 14 კილომეტრით არის დაშორებული ყინვალის სოფლის მაღაზიას. გასაგებია, რომ სონდისველის მცხოვრებლებს ძლიერ უჭირთ ყინვალის მაღაზიაში პირველი მოთხოვნილების საგნების შეძენა შორი მანძილის გამო.

1939 წლამდის სონდისველში იყო მაღაზია, მაგრამ რატომღაც დახურეს. ომის შემდეგ გვპირდებოდნენ მაღაზიის გახსნას, მაგრამ დაპირება შეუსრულებელი დარჩა. მრავალი განცხადება შევიდა დუშეთის რაიკავშირში, რაიონულმა გაზეთმაც მრავალჯერ დაწერა ამ საკითხზე, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

შარშან ზაფხულში სონდისველელები და ხორხელები ერთხელ კიდევ შეეცადნენ სასოფლო მაღაზიის გახსნას. მაღაზიისათვის გამონახეს ბინა, მოაწყეს იგი, მაგრამ შრომამ ფუჭად ჩაიარა, რაიკავშირმა მაღაზია მაინც არ გახსნა.

საკითხავია, რაიკავშირის ხელმძღვანელები რატომ არ გრძნობენ პასუხისმგებლობას მომხმარებელთა წინაშე და რატომ არ ასრულებენ თავიანთ სიტყვას?

სონდისველში მაღაზია უნდა გაიხსნას, სოფელს საამისოდ გამონახული აქვს ბინა, ჰყავს კადრები, მშვენიერი გზა კი მანქანებით საქონლის შეზიდვის საშუალებას იძლევა.

ვ. ხუციურაული.

ექიმთა დახელოვნების კერა

ოცი წლის წინათ საქართველოს სამედიცინო ქსელს კიდევ ერთი სამეცნიერო-საკვლევი და სამკურნალო კერა შეემატა. ეს იყო თბილისის ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტი.

თავისი არსებობის ოცი წლის მანძილზე ინსტიტუტი საგრძნობლად გაიზარდა, ამაღლდა მისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დონე. თუ წინათ ინსტიტუტში 5 კათედრა იყო, დღეს 24 კათედრაა. წელს ინსტიტუტში შეიქმნება კიდევ ერთი ახალი კათედრა — ანესთეზიოლოგიის კათედრა. ასეთი კათედრა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით თბილისს გარდა დაარსდება მხოლოდ მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში.

პირველ ხანებში ინსტიტუტი ყოველწლიურად ამზადებდა დაახლოებით 200 ექიმს, ახლა კი 1.000-ზე მეტ ექიმს ამზადებს. დღემდე ინსტიტუტში კვალიფიკაცია აიმაღლა 14.414 ექიმმა. აღსანიშნავია, რომ 1949 წლიდან თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში მომძე რესპუბლიკებიდანაც მოდიან ექიმები კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს ინსტიტუტში სასოფლო რაიონებიდან მოვლინებულ ექიმთა დახელოვნებისათვის. მათ ქმედითს დახმარებას უწევს ინსტიტუტის საკონსულტაციო ბიურო. ამავე დროს ინსტიტუტი უშვებს კრებულს „უბნის ექიმის დასახმარებლად“, რომელშიც მონაწილეობენ რესპუბლიკის თვალსაჩინო სპეციალისტები.

ინსტიტუტში ექიმთა დახელოვნების საქმეს ემსახურება 28 პროფესორი, 36 დოცენტი და 52 ასისტენტი. აქ მოღვაწეობენ აკადემიკოსი ა. წულუკიძე, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტები ნ. ანთელავა, პ. სარაჯიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი კ. ჩიქოვანი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები დ. მამამთავრიშვილი, გ. ნაზარიშვილი, დ. ჯავახიშვილი, ა. ხმალაძე და სხვები.



1946 წლიდან ინსტიტუტი ყოველწლიურად აწყობს სამეცნიერო სესიებს, რომლებზეც განიხილავენ მედიცინის მეცნიერების აქტუალურ საკითხებს. ამ დღეებში გაიმართა მორიგი სამეცნიერო სესია, რომელიც ინსტიტუტის არსებობის 20 წლისთავს მიეძღვნა.

ამჟამად თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის შემოქმედებითი კოლექტივი მუშაობს ისეთ პრობლემებზე, როგორიც არის სამხარეო პათოლოგია, ავთვისებიანი სიმსივნეების, გულის სისხლძარღვთა, ინფექციურ დაავადებათა და ტრავმატიზმის პროფილაქტიკა და მკურნალობა, რადიაქტიული იზოტოპების გამოყენება დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დროს, შრომის მიგიენა და სხვ.

თავისი არსებობის ოცი წლისთავს ინსტიტუტი ხვდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებებით.

ექიმი **რ. იაშვილი.**

* * *

სურათებზე: ზემოთ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი კ. ჩიქოვანი (შუაში) აკეთებს ოპერაციას თავის ტვინის არეში. ქვემოთ — ზედა ყბის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული ავადმყოფის მკურნალობა კობალტის დანადგარით მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ გ. ნაზარიშვილის (მარჯვნიდან მეორე) ხელმძღვანელობით.

მომწიფებული საკითხი

აჭარა თავისი ისტორიული ძეგლებით, მდიდარი ფოლკლორით, აჭარული კილოს თავისებურებებით მუდამ იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. წლების მანძილზე ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ საქართველოს ამ კუთხის მეცნიერული შესწავლა ჯერ კიდევ დიდ, სისტემატურ მუშაობას მოითხოვს.

გასაკეთებელი მართლაც ბევრია. აჭარის ტერიტორიაზე არსებული მრავალი ისტორიული ციხე-სიმაგრე და პირველ რიგში, ისეთები, როგორიც არის პეტრა, გონიო, ხიხაძირი, უძველესი ნაქალაქრები, მაგალითად, ანტიკური ხანის ქალაქი პიტია და სხვები, ძველი საქართველოს მაღალი სულიერი და მატერიალური კულტურის ბევრ საიდუმლოებას შეიცავენ.

დიდ დაზუსტებასა და დამატებითს კვლევას მოითხოვს აჭარული კილო თავისი დიალექტოლოგიური განშტოებებით და განსაკუთრებით ხალხური ზეპირსიტყვიერება. უფრო მეტი მუშაობაა საჭირო ქალაქ ბათუმის და აჭარის მშრომელთა გმირული რევოლუციური წარსულის შესასწავლად.

მაგრამ მთავარ ინტერესს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს აჭარის მრავალდარგოვანი სახალხო მეურნეობა მისი განვითარებული მრეწველობით და სოფლის მეურნეობით. აჭარის სახალხო მეურნეობის ეკონომიკა სერიოზული მეცნიერული კვლევის საგანია. ბუნებრივია, ამ ფრიად მნიშვნელოვან და პასუხსაგებ მეცნიერულ-კვლევით სამუშაოებს თითო-ოროლა მეცნიერი მუშაკი ვერ შეასრულებს, ამისათვის საჭირო ა მეცნიერთა მთელი კოლექტივი.

ყოველივე ეს დიდი ხანია აყენებს საკითხს, რომ აჭარაში გაიხსნას სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფდა აჭარის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ეკონომიკის გეგმაზომიერ და კომპლექსურ მეცნიერულ შესწავლას. ასეთი ინსტიტუტისათვის აქ არის როგორც სათანადო კადრები, ისე აუცილებელი ბაზა.

ა. ინაიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,

კ. ბაბილოძე,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი,

ჯ. ნოღაიდელი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მეგრძმედეთა სასადილოში წესრიგი უნდა დამყარდეს

გასული წლის ნოემბრის დასაწყისიდან ჩვენი საამქროს მუშათა სასადილო თვითმომსახურებაზე გადავიდა. თვითმომსახურების მიზანია სადილობისათვის განკუთვნილი დროის შემჭიდროება და საერთოდ მუშების მომსახურების გაუმჯობესება.

ახალი წესით მომსახურებაზე გადასვლამდე სასადილოში მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები უნდა შესრულებულიყო. კერძოდ, კერძების დასარიგებელ ფანჯარასთან უნდა გაკეთებულიყო დამატებითი გასაკეთელი ლითონის ღობურით. მაგრამ დღემდე არაფერია გაკეთებული. აქის გამო სასადილოში დიდი უწესრიგობაა. სადილობის დროის შემჭიდროების ნაცვლად პირიქით ხდება, წინანდელთან შედარებით მუშებს სასადილოში ხშირად 15-20 წუთით მეტი დრო ეკარგებათ.

სასადილოს გადატვირთვისა და უწესრიგობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ, საბრძმედე საამქროს გარდა, აღნიშნული სასადილო მომსახურებას უწევს აგლოფაბრიკის, გაზის საამქროს, თბოელექტროცენტრალისა და სამონტაჟო სამმართველოთა კოლექტივებს, რომლებსაც შესვენება ერთსადა იმავე დროს აქვთ. რამდენჯერმე დავაყენეთ საკითხი, რომ დასახელებულ საწარმოებში შესვენება განსხვავებულ ვადაში დაეწესებინათ, მაგრამ ამ მოთხოვნისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

ამას გარდა უკანასკნელ ხანს მუშათა სასადილოში (გამგე ი. სემიონენკო) უსუფთაობაა და არის დაბალი ხარისხის კერძების დამზადების შემთხვევები.

დროა მებრძმედეთა სასადილოში წესრიგი დამყარდეს.

დ. ინასარიძე,
ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს უფროსი ნორმადარი.

მუშათა საერთო საცხოვრებლებს მეტი ყურადღება

„ჭიათურმშენში“ ასობით კაცი მუშაობს. მათი უმრავლესობა საერთო საცხოვრებლებში ცხოვრობს. აქ თითქოს სანიმუშოდ თვლიან ვაშაძეების უბანში არსებულ მუშათა საერთო საცხოვრებელს, მაგრამ აქაც სერიოზული ნაკლოვანებებია. იატაკის მოწმენდასა და თეთრეულის გამოცვლას ზოგჯერ აგვიანებენ. ოთახებში საკმაო სკამები არ არის. ამის გამო საწოლებზე გვიხდება ჩამოჯდომა, რაც ლოგინის დაჭუჭყიანებას იწვევს. ბინებში საკმაო რაოდენობით არა გვაქვს წყლის ჭურჭლები, ჭიქები და სხვ. წესრიგში არ არის აგრეთვე საპირფარეშო და კანალიზაცია. ბინებში არა გვაქვს რადიო, რომლის მოწყობა აქ ძნელი არ არის.

საერთო საცხოვრებლების კომენდანტი ამხ. ლომიძე რატომღაც თავს არ იწუხებს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. მუშათა საერთო საცხოვრებლები მეტ მზრუნველობასა და ყურადღებას საჭიროებს.

გ. ნოზაძე,
„ჭიათურმშენის“ მლესავი.

შეუსრულებელი დაპირება

ახაშნის სარკინიგზოს ბაქანი მომსახურებას უწევს გურჯაანის რაიონის სამი სოფლის: ახაშნის, ზეგნისა და ველისციხის მოსახლეობას. ხშირად აქ იმდენი მგზავრი იყრის თავს, რამდენსაც ზოგ დიდ სადგურშიც კი ვერ შეხვდებით, მაგრამ მათ ცის ქვეშ ყოფნა უხდებათ ქარბუქსა და წვიმაში, რადგან მახლობლად არავითარი თავშესაფარი არ არის.

ახაშნის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ 1955 წელს დააყენა ამიერკავკასიის რკინიგზის საამართველოს წინაშე საკითხი ახაშნის ბაქანზე ფარდულის აშენების შესახებ. რკინიგზის სამმართველომ ჩვენი წინადადება მიიღო და პრესაშიც კი გამოაქვეყნა, ახაშნის ბაქანზე მგზავრთა თავშესაფარ ფარდულს ვაკეთებთო, მაგრამ მშენებლობა დღემდეც არ დაწყებულა, თუმცა საკითხის დასმიდან წელიწადზე მეტი დრო გავიდა.

გვაინტერესებს ვიცოდეთ, რატომ დაივიწყეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელებმა გურჯაანის რაიონის ზემოხსენებული სამი სოფლის მშრომელებისათვის მიცემული დაპირება და ვეღირსებით თუ არა ახაშნის ბაქანზე ფარდულის აშენებას?

გ. თათარიშვილი,
გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშნის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მეჯი ყურადღება ვეძისის ახალდასახლებულ უბანს

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

საბურთალოს ერთ-ერთი ახალდასახლებული უბანი, რომელსაც ვეძისი ეწოდება, ისე სწრაფად იზრდება, რომ თბილისის საქალაქო საბჭო ვერც კი ასწრებს ამ უბნის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების მოწესრიგებას. მართალია, ამ ახალდასახლებული უბნის კეთილმოწყობისათვის ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა, საქალაქო საბჭო და დედაქალაქის სხვა ორგანიზაციები სრულად და რაციონალურად რომ იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ ყველა საშუალებას.

რედაქციაში შემოდის მრავალი წერილი, რომლებშიც მშრომელები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ საბურთალოს ახალდასახლებული უბნის მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამო და მოითხოვენ ზომების მიღებას ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

— ამჟამად ვეძისი ლამაზი კოტეჯებით და მრავალსართულიანი სახლებით დამშვენებულ მჭიდროდ დასახლებულ უბანს წარმოადგენს, სადაც ათასობით ოჯახი ცხოვრობს, — გვწერენ ამ უბნის მცხოვრებნი **კვინიკაძე, ჯაფარიძე, პატარიძე** და სხვები, — მაგრამ კვლავინდებურად მოუგვარებელია მისი სატრანსპორტო მომსახურება. № 14 მარშრუტის ავტობუსები მხოლოდ ვეძისსა და მარჯანიშვილის მოედანს შუა მოძრაობენ. მრავალჯერ დაისვა საკითხი ლენინის მოედანსა და ვეძისს შუა პირდაპირი საავტობუსო მოძრაობის გახსნის შესახებ. ამის საშუალება არის, თუ უფრო რაციონალურად გამოვიყენებთ ქალაქის საავტობუსო მეურნეობის პარკს. საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო დაპირებებით გვკვებავს, ჩვენი უბნის მშრომელთა კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის კი თავს არავინ იწუხებს.

საბურთალოს მოსახლეობის არადამაკმაყოფილებელ სატრანსპორტო მომსახურებაზე გვწერს აგრეთვე მკითხველი **ეკატერინე შუღლიაშვილი:** ხშირია შემთხვევა, როცა საბურთალოსკენ მიმავალ მგზავრებს ავტობუსის ან ტროლეიბუსის გაჩერებასთან საათი და მეტი დრო გვიხდება ლოდინი. ამას წინათ რუსთაველის მოედანთან საღამოს ექვსი საათიდან რვის ნახევრამდე ველოდი საბურთალოსაკენ მიმავალ ტრანსპორტს, მაგრამ ვერც ავტობუსში ჩავჯექი და ვერც ტროლეიბუსში. ეს მაშინ, როცა ვაკისაკენ ყოველ 5 წუთში მიდიოდა ტრამვაი, ტროლეიბუსი ან ავტობუსი. საბურთალოზე რა დროსაც უნდა იმუშავაროთ, №№ 4 და 5 მარშრუტის ტროლეიბუსები მუდამ გაჭედილია ხალხით და სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას.

ნანეიშვილის ქუჩის მცხოვრებნი **თოდაძე, ჩხაიძე, ჯაფარიძე** და სხვები გვწერენ: — მშრომელთა დიდი სიხარული გამოიწვია ვეძისში ახალი აბანოს გახსნამ. მაგრამ საქმე ის არის, რომ რაც აბანო ამუშავდა, მას შემდეგ მახლობლად მდებარე სახლებში კარფანჯრების გაღება აღარ შეიძლება, რადგან აბანოდან წამოსული კვამლით გვევსება ოთახები. თურმე მშენებლებმა აბანოს საქვაბე მეურნეობას დაბალი საკვამლე მილი გაუკეთეს, ამიტომ ბოლი დაბლა იფანტება და ყველაფერს ჭვარტლით ავსებს.

მშრომელები საყვედურს გამოთქვამენ აგრეთვე იმის გამო, რომ დიდი ხანია ჭიაურდება ნანეიშვილის ქუჩის კეთილმოწყობა, რაც ჯერ კიდევ 1955 წელს უნდა დამთავრებულიყო. შარშან ამ ქუჩაზე ახალი პოლიკლინიკა გახსნეს, რამაც მოსახლეობის დიდი კმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ამ მოუკირწყლავ ქუჩაზე წვიმიან ამინდში გავლა, კერძოდ პოლიკლინიკამდე მისვლა ძნელდება. შარშან შემოდგომაზე ნანეიშვილის ქუჩაზე კანალიზაციის მილების ჩაწყობა და კეთილმოწყობის სხვა სამუშაოები დაიწყეს. მაგრამ მშენებლებს აფერხებს ორიოდე პატარა სახლი, რომლებიც შუა ქუჩაშია აღმართული და რომელთა აღება თბილისის საქალაქო საბჭომ დღემდე ვერ მოახერხა.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭო და სათანადო ორგანიზაციები საქმიანად უნდა გამოეხმაურონ მშრომელთა სამართლიან შენიშვნებს.

გადავსინჯოთ პრემიის გაცემის წესი

ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტს 1956 წელს უნდა ამოეღო 450.000 ტონა ქვანახშირი, მაგრამ ეს დავალება მხოლოდ 65 პროცენტით შესრულდა. სტალინის სახელობის შახტში ამ მეთოდით ქვანახშირის მოპოვების დავალება 71,7 პროცენტით გაანაღდეს, ლენინის სახელობის შახტში კი — მხოლოდ 50 პროცენტით. ამავე დროს ჭერის ჩამოქცევის მეთოდით ქვანახშირის ამოღება დიდად გაიზარდა, რამაც გამოიწვია ქვანახშირის დანაკარგის შესაბამისად ზრდა.

ეს იმიტომ ხდება, რომ შახტების, ტრესტისა და თვით საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელებს ჰიდრავლიკური ვსების წესით ქვანახშირის ამოღების დავალების შეუსრულებლობისათვის არავითარი მატერიალური პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ. კომბინატის, ტრესტისა და შახტების მთელ აპარატს პრემია ეძლევა ქვანახშირის ამოღების, სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმების, თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების დავალების შესრულებისათვის. პრემირების დღემდე არსებული წესი არ ითვალისწინებს ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით სათბობის ამოღების გეგმების შესრულებას. ეს იმ დროს, როდესაც ტყიბულის შახტებს ამ წესით ამოღებულ თითეულ ტონა ქვანახშირში სახელმწიფო გაცილებით მეტს უხდის, ვიდრე ჩვეულებრივი წესით ამოღებულ ქვანახშირში.

მატერიალური დაინტერესების პრინციპის უგულებელყოფა ძლიერ აფერხებს ქვანახშირის ამოღების ამ პროგრესული მეთოდის ფართოდ დანერგვას.

საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ საქართველოს ქვანახშირის კომბინატის, ტყიბულქვანახშირის ტრესტისა და მისი შახტების ტექნიკურ პერსონალზე ფულადი პრემიის გაცემის დროს სხვა ეკონომიურ მაჩვენებლებთან ერთად მხედველობაში იქნას მიღებული ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით ქვანახშირის ამოღების დავალების შესრულების მაჩვენებელიც.

დ. გვენეტაძე,
სტალინის სახელობის შახტის ჰიდრავლიკური ვსების უბნის უფროსი,

დ. გიოკრბიძე,
სამთო ინჟინერი,

ტ. გაბრიჭიძე,
სტალინის სახელობის შახტის პარტბიუროს მდივანი.

მარშალი გ. კ. ჟუკოვი ინდოეთში

დელი, 27 იანვარი. (საკდისის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის მარშლის გ. კ. ჟუკოვის ვიზიტი ინდოეთში ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცების ვითარებაში მიმდინარეობს. ინდოეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობა და ინდოეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობენ მარშალ გ. კ. ჟუკოვის ყოფნას ინდოეთში.

გუშინდელი დღესასწაული რესპუბლიკის დღის გამო, რაც ხალხის მხიარულების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დამთავრდა დელის მცხოვრებთა და დღესასწაულზე სპეციალურად ჩამოსულ ახლომახლო სოფლების მცხოვრებთა მასობრივი სეირნობით. რამლილის მოედანზე გაიმართა გრანდიოზული ფეიერვერკი. დღეს ეროვნული ზეიმი გრძელდება.

27 იანვარს დილით გ. კ. ჟუკოვი დაესწრო სამხედრო-სასპორტო ორგანიზაციების ტრადიციულ ყოველწლიურ შეკრებას, რომელიც დელის სტადიონზე მიმდინარეობდა. პრემიერ-მინისტრი ნერუ, რომელიც თავმჯდომარეობდა შეკრებას, გულთბილად მიესალმა მარშალ გ. კ. ჟუკოვს.

გაიმართა ქვეგანაყოფთა პარადი, რომლებიც წარმოადგენენ ამ ორგანიზაციების სხვადასხვა ოლქს. ახალგაზრდათა სამხედრო-სასპორტო ორგანიზაციები, რომლებსაც ინდოეთში კადეტთა კორპუსს უწოდებენ, შეიქმნა მას შემდეგ, რაც ინდოეთი დამოუკიდებელი გახდა. მათი დანიშნულებაა ხელი შეუწყონ ინდოელი ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობის განმტკიცებას, აღზარდონ იგი სამშობლოს წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, სამშობლოსადმი ერთგულებისა და იმპერიალისტურ ხელყოფისაგან სამშობლოს დასაცავად პატრიოტული მზადყოფნის სულისკვეთებით. საუკეთესო კადეტებს შეარჩევენ და შემდეგ მათგან ამზადებენ ოფიცერთა კადრებს.

მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა მოიწონა პარადი და ახალგაზრდობის სატანვარჯიშო გამოსვლები, რაც პარადის შემდეგ გაიმართა.

შემდეგ მოეწყო ავიამოდელისტთა საჩვენებელი გამოსვლები და ჯილდოების გადაცემა ქვეგანაყოფებისათვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს.

შეკრების დასასრულს სიტყვა წარმოთქვა ჯავაჰარლალ ნერუმ. მან მოიწონა ახალგაზრდობას ისწავლოს, რათა შეასრულოს თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. „ჩვენი ქვეყანა, — თქვა მან, — ეს არის ხალხი, ხოლო თქვენ, ახალგაზრდობა, ხალხის ნაწილი ხართ. ჩვენს ქვეყანაში ბევრი შტატია — ბენგალი, მადრასი, ყაშმარი და სხვები. ამ შტატებში ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნებანი, სხვადასხვა ადამიანები. მაგრამ ყველას ერთი რამ აქვთ საერთო — ისინი წარმოადგენენ ერთი ინდოეთის კავშირის ნაწილს“.

შეკრების დამთავრებას შემდეგ მარშალი გ. კ. ჟუკოვი, განაგრძობდა რა ქალაქის გაცნობას, მივიდა პრეზიდენტის პარკში. აქ მას, როგორც საპატიო სტუმარს, შესთავაზეს გასეირნება სპილოთი, რომელიც ინდოეთის პრეზიდენტს ეკუთვნის. მარშალი ჟუკოვი უნაგირზე ჯდება. „მე ძველი კავალერისტი ვარ“, — ამბობს ღიმილით იგი. ინდოელი ჯარისკაცები მიესალმნენ მარშალს. „გამარჯობა“, — ეუბნება მათ მარშალი. გამარჯობა, — უპასუხებენ ჯარისკაცები. — „ინდოელები და რუსები ძმები არიან“. „რუსები და ინდოელები ძმები არიან“, — ამბობს მარშალი.

დღის მეორე ნახევარში გ. კ. ჟუკოვი დაესწრო ინდური ხალხური ცეკვის დღესასწაულს დელის ეროვნულ სტადიონზე. საბჭოთა სტუმრის გამოჩენას მყუხარე ტაშით შეხვდნენ. გ. კ. ჟუკოვს მიუჩინეს საპატიო ადგილი პრემიერ-მინისტრ ნერუს მეერდით.

იწყება დღესასწაული. ცეკვა სხვადასხვა ფერადი მოცეკვავეთა ჯგუფები სხვადასხვა შტატიდან, ლამაზი ეროვნული კოსტიუმებით, ხალხური მელოდიების ხმაზე ასრულებენ ორ-ორ, სამ-სამ ცეკვას. ისე როგორც ყველა ხალხური ცეკვა, ინდური ცეკვები ასახავენ ხალხის შრომათა საქმიანობას, მის სამხედრო საგმირო საქმეებს, უბრალო ადამიანთა ფიქრებსა და მისწრაფებებს.

მარშალი ჟუკოვი ინტერესით ადევნებს თვალყურს ინდოეთის ხალხურ ცეკვებს. მას ახსნა-განმარტებას აძლევს პრემიერ-მინისტრი ნერუ. „ასეთ დღესასწაულთა მოწყობა ძალიან სასარგებლოა, — ეუბნება მარშალი ჟუკოვი ნერუს. — იგი აახლოებს სახელმწიფოს სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს“. მარშალი აღნიშნავს ზოგიერთი ინდური ცეკვის დიდ მსგავსებას კავკასიისა და საბჭოთა შუა აზიის ხალხთა ცეკვებთან.

დღეს საღამოს მარშალი გ. კ. ჟუკოვი და მისი თანმხლები საბჭოთა გენერლები დაოფიცრები სპეციალური მატარებლით გაემგზავრნენ დეჰრა-დუნში. გ. კ. ჟუკოვი დეჰრა-დუნში დათვალიერებს სამხედრო კოლეჯსა და გურკის 58-ე სასწავლო ცენტრს.

დელი, 28 იანვარი. (საკდისი). როგორც დელის რადიო იუწყება, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი დღეს დელიდან დეჰრა-დუნში ჩავიდა. ვაგზალში მას საზეიმო შეხვედრა გაუმართეს.

მარშალი გ. კ. ჟუკოვი ეწვია სამხედრო სასწავლებელს. იგი დაესწრო სასწავლებლის მსმენელთა პარადს, გაეცნო სასწავლებლის სხვადასხვა განყოფილებას, ხოლო შემდეგ დაესწრო ფიზიკულტურულ პარადს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ირანში

თეირანი, 28 იანვარი. (საკდისი). 27 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ დათვალიერა ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, გაეცნო ირანელი ხალხის კულტურის ძეგლებს.

გუშინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია მიიღო ირანის პრემიერ-მინისტრმა ჰოსეინ ალამ.

მიესალმა რა დელეგაციის წევრებს, პრემიერ-მინისტრმა ალამ თქვა, რომ სხვადასხვა დელეგაციების გაცვლა ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას. კერძოდ, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, შაჰინშაჰის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ჩვენს ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებაში. ჩვენ უნდა განვაგრძოთ კულტურული, სასპორტო და სავაჭრო დელეგაციების გაცვლა, განვავითაროთ თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის.

დელეგაციის მეთაურთან მ. პ. ტარასოვთან საუბარში საკდისის ამასწინანდელი განცხადების შესახებ პრემიერ-მინისტრმა ალამ თქვა, რომ ირანი არ მისცემს ბაზებს უცხო სახელმწიფოებს და არ მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებაში.

ირანის პრემიერ-მინისტრთან საუბრის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრმა არდალანმა.

დელეგაციის წევრთა საუბარში პრემიერ-მინისტრ ალასთან და საგარეო საქმეთა მინისტრ არდალანთან მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის ელჩმა ირანში ნ. მ. პეგოვმა.

იმავე დღეს საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრები დაესწრნენ კინოფილმის დემონსტრაციას თეირანის ერთ-ერთ კინოთეატრში.

მოლაპარაკება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებს შორის

ვარშავა, 28 იანვარი. (საკდისი). პოლონეთის პრესის სააგენტოს ცნობით, გუშინ ვარშავაში დაიწყო მოლაპარაკება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებს შორის.

საფრანგეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ეტიენ ფაჟონი, რაიმონ გიუიო, გუსტავ ანსარი და ცენტრალური კომიტეტის წევრი ფერნან დიუპუი. პოლონეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ეჟი მორავსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ედვარდ გერეკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი მარიან ნაშკოვსკი და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთის განყოფილების გამგე იუზეფ ჩესაკი.

დამთავრდა თავისუფალ პროფკავშირთა სრულიად უნგრეთის კავშირის X პლენუმი

ბუდაპეშტი, 27 იანვარი. (საკდისი). მუშაობა დაამთავრა თავისუფალ პროფკავშირთა სრულიად უნგრეთის კავშირის X პლენუმმა. გენერალური მდივნის შანდორ გაშპარის საანგარიშო მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც 20-ზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ტატაბანიის მაღაროელთა წარმომადგენელმა გეზა ზაბრაკიმ აღნიშნა, რომ ტატაბანიის ქვანახშირის შახტების პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გაუძღვეს უკანასკნელი კვირეების გამოცდას და განმტკიცდნენ ორგანიზაციულად. მან მოიწონა უნგრეთის პროფკავშირთა გადაწყვეტილება დარჩნენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წევრებად.

ეს გადაწყვეტილება მოიწონეს აგრეთვე პლენუმის სხვა მონაწილეებმა.

ვაჭრობისა და საფინანსო დარგის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარემ ლასლო ლიგეტიმ მოუწოდა დამსწრეთ გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღონ ნაციონალისტურ და სინდიკალისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ, რომლებიც ამ უკანასკნელ თვეებში აქა-იქ გავრცელდა უნგრეთში.

შეეხო რა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, ლასლო ლიგეტიმ თქვა, რომ უნგრელ მშრომელებს საბჭოთა კავშირი თავიანთ განმათავისუფლებლად მიაჩნიათ.

პლენუმის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭირო განმტკიცდეს პროფკავშირული ერთიანობა, გაძლიერდეს მუშაობა ახალგაზრდობასა და ინტელიგენციაში, აგრეთვე საჭიროა გადაისინჯოს პროფკავშირთა მუშაობის მეთოდები.

საბოლოო სიტყვაში შ. გაშპარმა თქვა, რომ 23 ოქტომბერს დაწყებული ამბები კონტრრევოლუციური ხასიათისა იყო. ახლა კონტრრევოლუცია დამარცხებულია. მაგრამ მისი ნაწილი იატაკქვეშეთშია და განაგრძობს ცალკეულ გამოხდომებს. პროფკავშირებმა უნდა იხმარონ ყველა საშუალება, რაც კი მოეპოვებათ, რათა გადამწყვეტი და გაბედული ბრძოლა აწარმოონ ყველა კონტრრევოლუციური ხრიკის წინააღმდეგ.

უნგრეთის პროფკავშირული მოძრაობა, განაგრძო შანდორ გაშპარმა, მტკიცედ დგას კლასობრივი ბრძოლის პოზიციებზე და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით და იმ მისწრაფებით, რომ უნგრეთის პირობებს შეუფარდოს ეს მოძღვრება.

შემდეგ შანდორ გაშპარმა ანალიზი გაუკეთა პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისა და სამდივნოს მოქმედებას უკანასკნელი ამბების დროს. მან აღნიშნა, რომ სამდივნომ ამ პერიოდში მთელი რიგი პრინციპული და პრაქტიკული შეცდომები დაუშვა. კერძოდ, მან ვერ გაარკვია მომხდარი ამბების ხასიათი, და, რაკი ნათლად ვერ დაინახა კონტრრევოლუციის საფრთხე, ვერ დარაზმა მშრომელები კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შეეხო რა პროფკავშირთა ურთიერთობას მთავრობასთან, გაშპარმა აღნიშნა, რომ მათ ერთად უნდა განახორციელონ ყველა ღონისძიება უნგრეთის საწარმოო ძალების განსავითარებლად და ნაციონალური შემოსავლის გასადიდებლად.

შ. გაშპარის სიტყვის დამთავრების შემდეგ პლენუმმა მოიწონა ტექსტი წერილისა სხვა ქვეყნების პროფკავშირებისადმი, ხოლო შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ პლენუმი იწონებს პრეზიდიუმის ანგარიშს და გადაჭრით ემხრობა პროფკავშირულ ერთიანობას, რომელიც ეყრდნობა მტკიცე პრინციპულ საფუძვლებს.

პლენუმი აღნიშნავს, რომ „უნგრეთის თავისუფალი პროფკავშირები აღიარებენ და იცავენ საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის პრინციპს. პლენუმი აცხადებს, რომ უნგრეთის პროფკავშირები მომავალშიც მუდამ იქნებიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წევრები, მათ სურთ მჭიდრო მეგობრობა იქონიონ ყველა ქვეყნის მუშათა კლასთან და სხვადასხვა მიმართულების პროფესიულ კავშირებთან“. უნგრეთის პროფკავშირები იწონებენ და მხარს უჭერენ უნგრეთში სამეურნეო ცხოვრების აღდგენის გეგმებს, რომლებიც დასახულია რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის განცხადებაში.

პლენუმმა თავის გადაწყვეტილებაში გამოთქვა მადლობა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისადმი და იმ ქვეყნების პროფკავშირებისადმი, რომლებიც უანგაროდ ეხმარებიან უნგრელ მშრომელებსა და მათს ოჯახებს.

პლენუმმა მოუწოდა პროფკავშირთა ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოებს, პროფკავშირულ პრესას, პროფკავშირულ კომიტეტებსა და კავშირის წევრ შეგნებულ მშრომელებს, დაეყრდნონ პლენუმზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებასა და კამათს და ფართო ახსნაგანმარტებითი და აღმზრდელობითი მუშაობა აწარმოონ მშრომელებში.

უნგრეთის კულტურული ცხოვრება

ბუდაპეშტი, 27 იანვარი. (საკდისი). სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება უნგრეთის კულტურული ცხოვრება. ამჟამად ბუდაპეშტში უკვე მუშაობს კინოთეატრების 90 პროცენტზე მეტი. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში თეატრებში სამი მილიონი კაცი იყო. უნგრული ფილმების გარდა, უჩვენებენ საზღვარგარეთულ კინოსურათებს. თებერვალში უნგრეთის დედაქალაქისა და სხვა ქალაქების ეკრანებზე გამოვა ახალი საბჭოთა ფილმები, მათ შორის „მეორმოცდაერთე“ და „კარნავალის ღამე“, რომლებსაც აქ დიდი ინტერესით მოელიან.

გუშინ მეტალურგთა ქალაქ დუნაპენტელში დიდი წარმატებით ჩაიარა საბჭოთა მსახიობების კონცერტმა. მაყურებლები მქუხარე ტაშით შეხვდნენ კონცერტის მონაწილეებს და ყვავილების თაიგულები მიართვეს მათ.

ნორმალური ხდება ბუდაპეშტის დრამატული და მუსიკალური თეატრების მუშაობა. ყოველდღე მართავენ სპექტაკლებს სახელმწიფო ოპერის თეატრი, ეროვნული თეატრი, ოპერეტის თეატრი და სხვები.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მიმართვა კონგრესისადმი ამერიკის შეერთებულ შტატებში სკოლის მდგომარეობის შესახებ

ვაშინგტონი, 29 იანვარი. (საკდისი). პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა კონგრესს გაუგზავნა მიმართვა ამერიკის შეერთებულ შტატებში სკოლის მდგომარეობის საკითხზე. მიმართვაში იგი გამოთქვამს შეშფოთებას ამერიკის შეერთებულ შტატებში განათლების ბედის გამო, თუ არ გადაიჭრა ზოგიერთი „სასწრაფო“ პრობლემა.

აღნიშნა რა, რომ შეერთებული შტატების წინაშე დგას სკოლებსა და კოლეჯებში მოსწავლეთა რიცხვის შემდგომი გადიდების პრობლემა, ეიზენჰაუერმა აღნიშნა სკოლების ნაკლებობის „მეტად მწვავე“ პრობლემა. პრეზიდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სკოლების შენობების ნაკლებობა საეს ებით ცხადია უკვე „მთელი რიგი წლების განმავლობაში“.

ეიზენჰაუერი აღნიშნავს, რომ ამჟამად ამერიკის მუნიციპალურ სკოლებში სწავლობს 2,5 მილიონი ბავშვი, „მეტი, ვიდრე ნორმალურად შეიძლება დაიტიონ არსებულმა შენობებმა... გარდა ამისა, ბევრი საკლასო შენობა, სადაც შესაძლებელია გადატვირთვა არ არის, მაინც მეტად მოძველებულია ან რაიმე სხვა ნაკლი აქვს“.

მიმართვაში მოყვანილი ცნობების თანახმად, მეორე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მასწავლებელთა მომზადების პრობლემა. „წელს, — ნათქვამია მიმართვაში, — მასწავლებლებად გამოყენებულ იქნა ათასობით ადამიანი, რომლებსაც საკმაო ცოდნა არა აქვთ“.

ეიზენჰაუერი მოუწოდებს კონგრესს „სწრაფად“ მიიღოს გადაწყვეტილება ამერიკის სკოლებისადმი მთავრობის დახმარების „გადაუდებელი“ პრობლემის შესახებ.

ფეხბურთელები ახალი სეზონისათვის ემზადებიან

ორიოდე თვის შემდეგ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილის სტადიონებზე საზეიმოდ აღიმართება ფეხბურთში სსრ კავშირის XIX ჩემპიონატის ალმი. სეზონის ასე ნაადრევად გახსნასთან დაკავშირებით „ა“ და „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივები ახალი წლის დაწყებიდანვე ენერგიულ მზადებას შეუდგნენ. დაიწყო წვრთნა, სპორტსმენები ვარჯიშობენ ღია ცის ქვეშ, ეწყობა მატჩები თოვლით დაფარულ მოედნებზე.

მალე „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივები გაემგზავრებიან შავი ზღვისპირა კურორტებზე, აქ დაკომპლექტდება ძირითადი და დუბლ შემადგენლობები, მოეწყობა საკონტროლო მატჩები.

როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოს“ გუნდმა საკმაო ხანია ვარჯიში დაიწყო. პირველ კალენდარულ მატჩს თბილისელები თავიანთ მოედანზე გამართავენ 31 მარტს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის — მოსკოვის „სპარტაკის“ წინააღმდეგ.

დინამოელები უკვე შეუდგნენ ვარჯიშს ბურთით. პირველი ოფიციალური მატჩი პირველ და მეორე შემადგენლობებს შორის გაიმართა 27 იანვარს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. პირველი ტაიმი მიმდინარეობდა ბურთზე ერთა შეხებით, მეორე — ჩვეულებრივად. შეხვედრა დამთავრდა პირველი შემადგენლობის გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

მალე თბილისის „დინამო“ გაემგზავრება ლესელიძეში (გაგრის რაიონი), სადაც მოეწყობა შეკრება.

სწორედ: **თბილისის „დინამოს“ პირველი და მეორე შემადგენლობის მატჩის ერთ-ერთი მომენტი.**

ფოტო ვ. გინზბურგისა.

უძლიერესთა შეხვედრები კალათბურთში

მოსკოვში რამდენიმე დღეა გრძელდება ჩვენი ქვეყნის კალათბურთელთა უძლიერესი კოლექტივების ასპარეზობა. საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობას იღებს „ა“ კლასის ექვსი 12 და ამდენივე ვაჟთა გუნდი.

ახლა დედაქალაქის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს პირველი წრის შეხვედრები სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის, კიევისა და ალმა-ატის „ბურევესტნიკის“, მოსკოვისა და რიგის „სპარტაკის“ და სვერდლოვსკის ვაჟთა გუნდების, აგრეთვე მოსკოვის „დინამოს“, საავიაციო ინსტიტუტისა და „მეტალურგის“, ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის, კიევის „დინამოსა“ და როსტოვის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდების მონაწილეობით.

ამ შეხვედრებში წარმატებით იბრძვიან სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის ვაჟთა და დედაქალაქის საავიაციო ინსტიტუტის ქალთა გუნდები.

თებერვლის პირველი რიცხვებიდან ლენინგრადში დაიწყება ჩემპიონატში მონაწილე დანარჩენი გუნდების ასპარეზობა. აქ ერთმანეთს პირველობას შეეცილებიან რიგის ოფიცერთა სახლის, კაუნასის „ჟალგირისის“, მოსკოვის „დინამოს“, ტარტუს „კალევას“, თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდები.

ამ დღეებში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა კოლექტივი ლენინგრადში გაემგზავრა.

თბილისის ჩემპიონატი ჭადრაკში

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გრძელდება საქალაქო შეჯიბრება ჭადრაკში თბილისის 1957 წლის პირველობაზე. ამ ასპარეზობაში წარმატებით იბრძვის ოსტატობის კანდიდატი ა. ბლაგიძე, რომელსაც ჯერ არც ერთი შეხვედრა არ წაუგია.

ახლა, როდესაც საქალაქო ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, ყოველი პარტიის შედეგს პირველობაში მონაწილეთათვის, კერძოდ ლიდერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ა. ბლაგიძე ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტია, 12 ტურის შემდეგ მას 9,5 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან ა. ეზოზოჩიკოვი (8,5 ქულა 13-დან) და გ. გამრეკელი (8 ქულა 12-დან).

საქალაქო ჩემპიონატი 5 თებერვლამდე გაგრძელდება.

მწერალ მარიჯანის საიუბილეო საღამო

ორშაბათს, 28 იანვარს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში გაიმართა მწერალ მარიჯანის სალიტერატურო მოღვაწეობის ორმოცი წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანმა პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ. მოხსენება „მარიჯანის შემოქმედება“ წაიკითხა პოეტმა გრ. აბაშიძემ.

იუბილარს მიესალმნენ ს. ჭილაია, ბ. ჟღენტი, მ. გარიყიული, მ. ბარათაშვილი, თ. ჭავჭავაძე, კ. ჭიჭინაძე, ს. ფაშალიშვილი, რ. ქორქია, კ. გოგიაშვილი, ვ. გვეტაძე, ნ. კილასონია, მუშა-პოეტი შ. ნავთლუღელი, ვ. შუბლაძე, ელ. დიდმამიშვილი, ი. ალ. ბეგიშვილი, ა. ჭკადუა, ო. კუპრავა, ჯ. ნიქაბაძე, ა. შანიძე, მოსწავლეები მ. აბრამიშვილი და ი. ალანია.

მარიჯანმა დამსწრე საზოგადოებას გულითადი მადლობა გადაუხადა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

უგამყიდველო მაღაზია

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში მეტალურგთა ქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე მუშაობას შეუდგა საპროექტო საყონლის უგამყიდველო მაღაზია, რომელიც ეაჭრობს ფართო ასორტიმენტის საბაკალეო, საკონდიტრო და სხვა სახის პროდუქტებით.

ქალაქის ცენტრალური მოედნის მახლობლად გაიხსნა აგრეთვე რუსთავში პირველი საკომისიო მაღაზია, რომელიც მოთავსებულია კარგად მოწყობილ ფართო შენობაში.

საჯარო ლექცია

1 თებერვალს საღამოს 8 საათზე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტთან არსებულ ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 35) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს საკავშირო საზოგადოების წევრის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ბ. დ. დაციუკის (მოსკოვი) საჯარო ლექციას თემაზე: „საბჭოთა საზოგადოების ისტორიის შესწავლის ზოგიერთი საკითხი“.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

საქართველოს რადიო-გადაცემათა პროგრამა
31 იანვრისათვის

პირველი პროგრამით

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — უვერტიურები, 07.40 — „პიონერთა დაფინონი“, 08.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.15 — ვოკალური დუეტები, 12.45 — აფხაზური სიმღერები, 17.20 — ქართველ კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოებები, 18.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 19.20 — ჩაიკოვსკის უვერტიურა — ფანტაზია „ჰამლეტი“, 19.40 — რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით — საოპერეტო მუსიკის კონცერტი, 20.30 — ქართული მსუბუქი მუსიკის კონცერტი.

რადიოსადგურით 1.571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით.

21.00 — ჯიორდანოს ოპერა „ანდრე შენიე“.

მეორე პროგრამით

რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე

21.00 — ლიტერატურული გადაცემა — ციკლიდან „ახალი წიგნები“, 21.30 — ვალსები.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე

11.00 — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ მიმოხილვა, 18.15 — 19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე, 20.30 — 21.00 — გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე.

ტელეგადაცემათა პროგრამა

30 იანვრისათვის

20.00 — გადაცემა ბავშვებისათვის — კინონარკვევი „სასკოლო ნაკვეთზე“, 20.30 — გადაცემა „ჩვენს დედაქალაქში“, 20.35 — კინოჟურნალი და მხატვრული ფილმი „ადამიანი დაიბადა“.

დისერტაციის დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(მელიქიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 12 თებერვალს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

ლიუბოვ მოსეს ასული ფრიდმანი

დაიცავს დისერტაციის თემაზე: „Осмотическая и механическая резистентность эритроцитов при анемических состояниях.“

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 12).

ᲓᲦᲔᲡ

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ეზოში ავი ძაღლია, **მარჯანიშვილის სახელობის** — მკაცრი ქალიშვილები, **გრიბოედოვის სახელობის** — ხეები კვდებიან ზეზეულად, **სომხური დრამის** — დანგრეული კერა, **მუსიკალური კომედიის** — ფალი.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, 26 კომისრის სახელობის, ოქტომბერი, პლეხანოვის სახელობის კლუბი—უგზოუკვლოდ დაკარგული, **ამირანი, საქართველო, სპარტაკი**—სიყვარული და მოვალეობა, **დიდუბე, საქართველო, კოლმეურნე, ვოროშილოვისა და ძერჟინსკის სახელობის კლუბები, კომფუნარების ბაღი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — კარნავალის ღამე, **კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი** — ამერიკელი ძია, **კოლხიდა** — ბაში-აჩუკი, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — ბატონი 420 (I და II სერია).

ᲓᲦᲔᲡ

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ეზოში ავი ძაღლია, **მარჯანიშვილის სახელობის** — მკაცრი ქალიშვილები, **გრიბოედოვის სახელობის** — ხეები კვდებიან ზეზეულად, **სომხური დრამის** — დანგრეული კერა, **მუსიკალური კომედიის** — ფალი.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, 26 კომისრის სახელობის, ოქტომბერი, პლეხანოვის სახელობის კლუბი—უგზოუკვლოდ დაკარგული, **ამირანი, საქართველო, სპარტაკი**—სიყვარული და მოვალეობა, **დიდუბე, საქართველო, კოლმეურნე, ვოროშილოვისა და ძერჟინსკის სახელობის კლუბები, კომფუნარების ბაღი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — კარნავალის ღამე, **კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი** — ამერიკელი ძია, **კოლხიდა** — ბაში-აჩუკი, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — ბატონი 420 (I და II სერია).

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1957 წლისათვის შემდეგ სპეციალობათა მიხედვით.

ა) წარმოებისაგან მოწყვეტით: 1. სოციალისტური სოფლის მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაცია, 2. სასოფლო-სამეურნეო მანქანები, 3. ტრაქტორები და ავტომობილები, 4. მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაცია, 5. მევენახეობა, 6. მეხილეობა, 7. მცენარეთა დაცვა.

ბ) წარმოებისაგან მოუწყვეტლივ: 1. მევენახეობა, 2. სოციალისტური სოფლის მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაცია.

მსურველებმა განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები ორ ცალად: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, ავტობიოგრაფია, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, ცნობა სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, რეცენზირებული სამეცნიერო შრომა ან რეფერატი, ფოტოსურათები 6×9.

განცხადებები მიიღება 1 თებერვლიდან 25 თებერვლამდე. გამოცდები იწყრმოებს 1 მარტიდან 15 მარტამდე.

მისამართი — თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 33.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ნაგებობათა გამოცდის ლაბორატორიის გამგის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებას უნდა დაერთოს ორ-ორ ცალად: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის, სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი საბუთების ნოტარიულად შემოწმებული პირები, სამეცნიერო შრომების სია და სამსახურებრივი დახასიათება მუშაობის ადგილიდან.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტში — თბილისი, ბარათაშვილის ქ. № 8.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებ